# ივერია

"მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!"

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

№ 31 11 ნოემბერი 1991 წელი

გაზეთი "ივერია" დააარსა ილია ჭავჭავაძემ. აღადგინა ზურაბ ჭავჭავაძემ. აღდგენილი გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1989 წლის 20 თებერვალს


გაზეთ "ივერიის" 30-ე და "კავკასიონი"-ს მე-4 ნომერი საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ დააპატიმრა 21 სექტემბრის ღამეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შტაბ-ბინის დარბევის დროს.

# ფაქტები და კომენტარები

თავისუფალი აზრის განდევნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა-შევიწროება, პოლიტპატიმრებიც სოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შენარჩუნება, ილოიალური დამოკიდებულება მოსკოვის "გკჩპ"-სთან და ბოლოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მშვიდობიანი მიტინგის წინააღმდეგ 2 სექტემბერს - აი, მოკლე სია იმ მიზეზებისა, რამაც ამა წლის შემოდგომაზე საქართველოში მრავალათასიანი საპროტესტო აქციების აზვირთება გამოიწვია. ქუჩაში გამოვიდა ათობით ათასი თბილისელი: პოლიტიკურ პარტიათა წევრები, ინტელიგენცია, სტუდენტობა. ისინი მოითხოვდნენ ტელევიზიისა და პრესის თავისუფლებას, პოლიტპატიმართა განთავისუფლებას, სოციალისტური სისტემის ნამდვილ და არა მოჩვენებით შეცვლას. რადგანაც პრეზიდენტი გამსახურდია თავისი მმართველობის თითქმის ერთწლიანი პერიოდის მანძილზე არ ასრულებდა ამ მოთხოვნებს, არამედ ისწრაფოდა სრული დიქტატურის დამყარებისაკენ და პასუხისმგებელია მშვიდობიანი მიტინგისათვის ცეცხლის გახსნისათვის, ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს დაემატა უმთავრესი - გამსახურდიას გადადგომა. მომხდარი ფაქტის ობიექტურად შეფასებისა და სიტუაციის განმუხტვაზე ზრუნვის მაგიერ პრეზიდენტმა გამსახურდიამ ნამდვილი ომი გამოუცხადა საკუთარ ხალხს, რომლის წარმომადგენლებსაც იგი მტრებად, მოღალატეებად და პუტჩისტებად აცხადებს.

16 სექტემბერს დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია. აღსანიშნავია, რომ მისი დაპატიმრების დროს გამსახურდიას რეჟიმმა ჩაიდინა კიდევ ერთი უპრეცედენტო დანაშაული: თვითმფრინავი, რომელშიც ჭანტურია იმყოფებოდა, დააბრუნა გზიდან და დასვა თბილისის აეროდრომზე უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით, რითაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა ყველა მგზავრის სიცოცხლეს. 19 სექტემბერს კი დააპატიმრეს კინოოპერატორი გიორგი ხაინდრავა, ეროვნულ მოძრაობაზე და 9 აპრილზე მსოფლიოში ცნობილი ფილმების ავტორი. ამ დაპატიმრებებით გამსახურდიამ დემოკრატიის გარეგნული ნორმების მოჩვენებით დაცვაზეც კი უარი თქვა, სრული უგულებელყოფა გამოუცხადა მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს და წმინდა წყლის პოლიტიკურ რეპრესიებზე გადავიდა.

პრეზიდენტმა რაიონებიდან მოტყუებით, იძულებით, შეშინებით და... დეფიციტური პროდუქტების დარიგებით (!) ჩამოიყვანა და რუსთაველის პროსპექტზე შემოიკრიბა მხარდამჭერები, რომელნიც უკვე მერამდენედ დაუპირისპირა დედაქალაქის მოსახლეობას, შეიარაღებისა და ოპოზიციის ფიზიკური განადგურებისაკენ მოუწოდა მათ. (გამსახურდია, ჩვეულებისამებრ, თავის გამონათქვამებს შემდეგ უარყოფს ხოლმე, მაგრამ ეს გამოსვლები გადაიღო ტელევიზიამ და არსებობს ვიდეოჩანაწერები).

22 სექტემბერს, ღამით მრავალგზისი მოწოდებების შემდეგ გამსახურდიამ შეძლო რამდენიმე ათასი მოტყუებული და აგზნებული ადამიანის შესევა აქციის მონაწილეებისათვის და სისხლისმღვრელი შეტაკების გამოწვევა. ამას მოჰყვა რუსთაველზე დარბეული აქციების მონაწილეთა თავმოყრა ტელევიზიასთან, სადაც ტელეჟურნალისტების გაფიცვა მიმდინარეობდა. ამ დღიდან ტელევიზიასთან გამოჩნდნენ ეროვნული გვარდიის ნაწილებიც საბრძოლო ტექნიკით. როგორც ცნობილია, მოსკოვის პუტჩის დღეებში გამსახურდიამ "გკჩპ"-ს მოთხოვნით ფაქტიურად გააუქმა მის მიერვე შექმნილი ეროვნული გვარდია. ამ უკანასკნელმა კი არ სცნო ეს უკანონო, ანტიკონსტიტუციური ბრძანება. გარდა ამისა, გვარდიამ კატეგორიულად უარყო პრეზიდენტის მიერ მისთვის დაკისრებული სადამსჯელო ფუნქცია და განაცხადა, რომ მთავრობის მხრიდან კვლავ ძალის გამოყენების შემთხვევაში დაიცავდა ხალხს. ტელევიზიასთან დისლოკაციის პერიოდში გვარდია გარკვევით აცხადებდა, რომ მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ უიარაღო ადამიანების დაცვა იყო, არავითარ შემთხვევაში პირველი არ გამოიყენებდა იარაღს და ასრულებდა კიდეც ამ დაპირებას. ყოველი ცალკეული თავდასხმა, რომელიც ამ პერიოდში მოხდა (ტექნიკური უნივერსიტეტის მცველის მოკვლა ავტომატით, გვარდიელებზე თავდასხმა დიდუბეში, რომელიც მთავრობამ თელასზე თავდასხმად გაასაღა, რამდენიმე აფეთქება და სროლები), მხოლოდ მთავრობის მხრიდან განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობდით, რომ გვარდიის ყოფნა აქციის ადგილას გაუადვილებდა პრეზიდენტს განზრახ გაეიგივებინა ხელისუფლებიდანვე გამოყოფილი შეიარაღებული შენაერთები და პოლიტიკური პარტიები, შეექმნა შეიარაღებული ოპოზიციის ყალბი სურათი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ოფიციალური ცნობათა გავრცელების საშუალებები ქმნიდნენ ილუზიას, თითქოს ხელისუფლება და პირადად გამსახურდია მზადაა დიალოგისათვის, რაზეც ოპოზიცია არ თანხმდება. სინამდვილეში ხელისუფლება არც კი განიხილავდა მოლაპარაკებებზე ოპოზიციის და საზოგადოებრიობის მხრიდან არაერთგზის წაყენებულ წინაპირობებს (პოლიტპატიმრების განთავისუფლება, განსხვავებული აზრისათვის სატელევიზიო დროის გამოყოფა, ერთის მხრივ გვარდიის, ხოლო მეორეს მხრივ რაიონებიდან ჩამოყვანილი შეიარაღებული ხალხის გაყვანა). ხელისუფლების მხარე ჯიუტად აიგივებდა გვარდიას და პოლიტიკურ პარტიებს და ლაპარაკობდა მხოლოდ უპირობო განიარაღებაზე, რისი მოთხოვნაც პარტიებისაგან უაღრესად აბსურდული იყო.

3 ოქტომბერს პოლიტიკური პარტიების აზრის გათვალისწინებით და სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ეროვნული გვარდიის ნაწილებმა თბილისი დატოვეს. დაძაბულობის განმუხტვისაკენ გადადგმულ ამ ნაბიჯს მთავრობამ ეორე დილითვე თბილისის ზღვის მიდამოებში განლაგებულ ეროვნულ გვარდიაზე თავდასხმით უპასუხა, რომლის დროსაც დაიჭრა რამდენიმე გვარდიელი და დაიღუპა ერთი თავდამსხმელი. შემდეგ დღეებში იპოვეს "ომონელთა" მიერ შეპყრობილი და დახვრეტილი 19 წლის გვარდიელის მ. ჯიმლაძის გვამი. ათობით ათასი თბილისელი გამოვიდა რუსთაველის გამზირზე, რათა ხელისუფლებისათვის სისხლისღვრის შეწყვეტა მოეთხოვა. ღამის პირველ საათზე პრეზიდენტის მომხრეებმა ორი სახანძრო მანქანით გაარღვიეს მომიტინგეები. მანქანებს უკან მიჰყვა გამძვინვარებული ბრბო, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ხელისუფლების მომხრე გვარდიისა და "ომონის" ნაწილები. ატყდა სროლა ავტომატური იარაღიდან. "ომონელები" ისროდნენ მთავრობისა და კავშირგაბმულობის სახლის სახურავებიდან. იხმარეს მომწამვლელი გაზიც. როდესაც დაშლილმა ხალხმა კვლავ იწყო თავმოყრა, მას კვლავ ტყვია დაუშინეს. მთავრობის სახლის წინ სამთავრობო მიტინგის მოთავე დეპუტატი ა. რცხილაძე პირდაპირ მიზანში სროლისაკენ მოუწოდებდა პრეზიდენტის მხარდამჭერთ. კიდევ უფრო სასტიკი იყო რბევა დილით, როდესაც ადამიანების გასაფანტად გამოიყენეს ჯავშანტრანსპორტიორიც. ტყვიებისაგან გაფანტულ მოქალაქეებს მისდევდნენ მეზობელ ქუჩებსა და სახლების სადარბაზოებშიც. ყოველივე ამას თან ახლდა ოპოზიციური ორგანიზაციების წევრებზე და ინტელიგენციის წარმომადგენლებზე ნადირობა. შეიპყრეს და ცემეს ლევან ღვინჯილია, მამუკა არეშიძე, გ. თარხან-მოურავი და სხვები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის წევრები დ. ანთია და ქ. ტაბალუა. ანალოგიური ბედი ეწია სხვა პარტიების არაერთ წარმომადგენელს.

მთელი ამ საშინელი ღამის განმავლობაში რადიო აცხადებდა, თითქოს მთავრობის სახლზე შეიარაღებულ თავდასხმას აწარმოებდა ვინმე და განუწყვეტლივ მოუხმობდა ხალხს პრეზიდენტის საშველად. იმის მაგიერად, რომ პოლიტიკური შეფასება მაინც მიეცა მთავრობის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისათვის, უზენაესი საბჭოს მორჩილმა უმრავლესობამ პრეზიდენტის მითითებით შეიარაღებული გადატრიალების ცდად გამოაცხადა ადამიანის ელემენტარული უფლებების დაცვის მოთხოვნით მიმდინარე მასობრივი მოძრაობა, რომელშიც მონაწილეობდა საზოგადოებრიობის ყველა ფენა და მათ შორის "პუტჩისტად" გამოცხადებული მრავალი დეპუტატი. ვინც ცოტად თუ ბევრად თვალს ადევნებდა მიმდინარე მოვლენებს, მან კარგად უწყის, რომ არც მთავრობად გამოუცხადებია ვინმეს თავი და არც შეიარაღებული ძალით უცდია არსებული მთავრობის დამხობა, იყო მხოლოდ გვარდიის დროებითი თანაარსებობა მიმდინარე მშვიდობიან აქციასთან და ესეც ხელისუფლების ძალადობაზე გადასვლით გამოწვეული, ხოლო როდესაც მოვლენის შეფასებისას რომელიმე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო რეალური ფაქტებიდან კი არა, ერთი პიროვნების სურვილიდან გამოდის, ასეთი ქვეყნის ბედი ნამდვილად საფრთხეშია.

რაც შეეხება პრეზიდენტის გადადგომის (და არავითარ შემთხვევაში მისი დამხობის) მოთხოვნას, იგი საქართველოში დღეს მოქმედ საბჭოთა (მრავალ-შესწორებებიან) კონსტიტუციასაც კი არ სცდება. და იგი გულისხმობს ამ მოთხოვნის განხორციელების რამდენიმე სრულიად მშვიდობიან, კონსტიტუციურ გზას. 1. გამსახურდია გადადგეს თვითონ, (როგორც მოიქცეოდა პასუხისმგებლობის და თავმოყვარეობის გრძნობის მქონე ნებისმიერი პიროვნება); 2. უზენაესმა საბჭომ შეიტანოს მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილება (ეს მის კომპეტენციაში შედის) და გააუქმოს პრეზიდენტის პოსტი. დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, სხვათა შორის, ასეთი პოსტის არსებობას არ ითვალისწინებს; და 3. უზენაესმა საბჭომ მოახდინოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი, როგორც ადამიანის, რომელმაც შეიარაღებული ომი გამოუცხადა საკუთარ ხალხს, ხალხის ერთი ნაწილი შეატაკა მეორეს, რითაც ჩაიდინა უმძიმესი სახელმწიფო დანაშაული. ამგვარი დანაშაულის ჩამდენი აღარ შეიძლება წარმოადგენდეს ოფიციალურ კანონიერ ხელისუფლებას.

გამსახურდია ეცდება რეპრესიების გაფართოებას. ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეძლებს იგი ამის განხორციელებას, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება სხვა დემოკრატიულ ძალებთან ერთად გააგრძელებს მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლას ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველოსათვის, სადაც დაცული იქნება ყოველი მოქალაქის ხელშეუხებელი უფლებები განურჩევლად მისი ეროვნებისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. ჩვენს ქვეყანაში აღარ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას რეჟიმი, რომელიც ანაქრონიზმია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის. მხოლოდ დემოკრატიული საქართველო შეიძლება გახდეს ამ სამყაროს აღიარებული, სრულუფლებიანი წევრი.

უკვე ათობით ათასი ქართველი აღსდგა დემოკრატიისათვის საბრძოლველად. საქართველო იღვიძებს. ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ერი არ შეეგუება სამარცხვინო დიქტატურას. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ძალას, მხარი დაუჭიროს ქართველი ერის ბრძოლას დემოკრატიისათვის.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
14.10.91



"ჩემო კარგო ქვეყანავ
რაზედ მოგიწყენია
აწმყო თუ არა გვწყალობს
მომავალი ჩვენია".

8 ნოემბერი

(27 ოქტომბერი ძველი

სტილით) ილია ჭავჭავაძის

დაბადების დღეა.

# ნუ იქნება მხოლოდ პუტჩი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991წ. 8 ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციაში, საქართველოში ამ ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს უკვე მიეცა ყალბი შეფასება. მაშასადამე, ისეთი, როგორიც ეს ხელისუფლებას სურდა. რეზოლუციაში ნათქვამია: "ამ ფაქტებსა და მოვლენებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აფასებს, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას".

როგორც ხედავთ, აქ ხელისუფლება ამჯერად მოერიდა ჩვენში პრეზიდენტის მიერ დანერგილი "პუტჩის" ხსენებას. ძალზე საინტერესოა ისიც, თუ რატომ დაუკარგა მისწრაფება პრეზიდენტს მაინცდამაინც გერმანული წარმოშობის ტერმინმა "პუტჩმა" და არა უფრო ესპანური წარმოშობის - "პრონუნსიამენტომ", რაც არსებითად და მინაარსობრივად დიდად არ განსხვავდება პირველისაგან, ამასთან, ბუნებრივია და ტემპერამენტით დასავლეთის იბერიაში-ესპანეთში და უფრო ხშირად ლათინურამერიკულ ქვეყნებში მიმდინარე სამხედრო გადატრიალებანი, რაც ტერმინ "პრონუნსიამენტო"-თი აღინიშნება ხოლმე, თითქოს უფრო მისაღები უნდა იყოს აღმოსავლეთის იბერიისათვის-საქართველოსათვის, თუკი რომ გავანებოთ იმ უძველეს ქართულ ტერმინოლოგიას, რომელიც მსგავსი მოვლენების დროს გამოიყენებოდა ხოლმე. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ვერც აღნიშნული უცხოური და ვერც ქართული ტერმინები ვერ გამოხატავენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. იგი შეიძლება გამოიხატოს ერთადერთი ტერმინით-დემოკრატიზაცია! რაც ბუნებრივი და მისაღებია ქართველი ერისათვის.

ასეა თუ ისე, უზენაეს საბჭოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს წინასწარი შესწავლისა და ანალიზის გარეშე უკვე მისცეს პოლიტიკური კვალიფიკაცია და ამით, თავის ჭკუაში, რეპრესიებისათვის მწვანე შუქიც აანთეს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, რომ ჯერ დახვრიტე კაცი, ხოლო შემდეგ გამოძიება და სასამართლო დაუნიშნე მოკლულს. უზენაესი საბჭოს სესიაზე ამ უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ადამიანურად მოაზროვნე დეპუტატები, მაგრამ 109 მონა-ამხანაგ დეპუტატს რა დასძლევდა?

უზენაესმა საბჭომ ამ პოლიტიკური განაჩენის შემდეგ შექმნა საპარლამენტო კომისია, "რომელიც გამოიკვლევს აღნიშნულ მოვლენებს და მშვიდობიანად მოაგვარებს კონფლიქტს" - ნათქვამია ბოლოს რეზოლუციაში. ჩვენ კი გვიჩნდება კითხვა-ნეთუ ბოლომდე ასეთი "სიმართლით" აპირებს სწავლეს "ეროვნული პარლამენტი"?

შოთა ლაზარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ეროვნულმა მთავრობამ" და მისმა იდეოლოგიამ იმდენი რამის დევალვაცია და გაშარჟება მოახდინეს, რომ მთელმა რიგმა ცნებებმა აზრი დაკარგა. მრავალი მანამდე რეალური მის პირობებში აღმოსავლეთ ევროპაზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანიაზე უარი უნდა ეთქვა. შემდეგ დადგა ბალტიისპირეთის საკითხზეც კომპრომისზე წასვლის მომენ-

# ვნახოთ, რა იქნება შემდეგ

მნიშვნელობის მქონე სიტყვის ხმარება უხერხულიც კი გახდა. ასეთ სიტყვებს შორისაა დღეს "იმპერია", "კრემლი", "სუკ-ის და "კრემლის აგენტი"... ასევე არასერიოზულად იქცა იმპერიის ჩარევაზე ლაპარაკი და ა.შ. დიახ, გამსახურდიამ იმდენად გააშარჟა ყოველივე ეს, რომ თვით მათი არსებობაც კი საეჭვო გახდა.

მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმპერიაც და მისი ინტერესებიც, საბედნიეროდ, სრულიად რეალურად არსებობენ, თუმცა, რა თქმა უნდა, არა იმ გაუკულმართებული და კარიკატურული ფორმით, როგორც მათ ბატონი პრეზიდენტი წარმოიდგენს თავის ტრაგიკომიკურ გამოსვლებში.

რუსეთში და საერთოდ საბჭოთა კავშირში დემოკრატიამ რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ეს უდავოა, განსაკუთრებით აგვისტოს ამბების შემდეგ. ეს წარმოშობს ვარაუდს, რომ საერთო, გაცილებით უფრო დემოკრატიული ატმოსფეროს პირობებში იმპერიის ცენტრს უკვე შესაძლოა აღარც სჭირდებოდეს მთელ მსოფლიოში მეტისმეტად სკანდალურად გახმაურებული რეჟიმი საქართველოში. თითქოს ამაზევე მეტყველებენ რუსული პრესისა და ტელევიზიის საკმაოდ ობიექტური და ცოცხალი გამოხმაურება დემოკრატიისათვის ბრძოლის პერიპეტიებზე თბილისში. საეჭვო არ არის ჟურნალისტთა სიმპატიების გულწრფელობა (თუ ყველასი არა, დიდი ნაწილის მაინც), მაგრამ, ვფიქრობ, გაცილებით მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ კითხვას – ლოგიკურია თუ არა, რომ დღევანდელ რუსეთს, როგორც იმპერიულ სახელმწიფოს არ აწყობდეს გამსახურდიას ხელში მყოფი საქართველო, უფრო სწორად, საქართველოს ყოფნა გამსახურდიას ხელში?! დიდად სასურველია, რომ რუსეთს მართლა არ აწყობდეს ანტიდემოკრატიული რეჟიმი საქართველოში, ან მალე დადგეს ის დრო, რომ აღარ აწყობდეს; ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანს არ სჯერა, რომ საქართველო უკვე დამოუკიდებელია და რუსეთში მიმდინარე პროცესები მას ისევე ეხება, როგორც საფრანგეთის ან თურქეთის ამბები (როგორც ეს ახლახან განაცხადა ბატონმა პრეზიდენტმა). არ ჩანს მიზეზი, რომლის გამოც ჩვენი ამჟამინდელი ყოფა თუნდაც დემოკრატიისაკენ მიმავალი, მაგრამ იმპერიის შენარჩუნებაზე მზრუნავი რუსეთისთვის დღემდე არახელსაყრელი ყოფილიყოს. საქართველოში რომ ცოტად თუ ბევრად ნორმალური (მე არ ვამბობ, არაჩვეულებრივი, ძალიან მოსაწონი, რაც დღევანდელ პირობებში ძალიან საეჭვო მგონია), მთავრობა იყოს, რომელიც დააკმაყოფილებდა მსოფლიოში მიღებულ სტანდარტებს, ან, ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც დააკმაყოფილებდა, რომ თვით საჩვენებელ კაციჭამიათა სახელს არ გაგვითქვამდა (ასეთი სახელი კი საქართველოს ადრე არასოდეს ჰქონია. მართალია, უმრავლესობას დედამიწაზე მისი არსებობის შესახებ არც კი სმენოდა, მაგრამ ვინც კი იცოდა, უაღრესად პატივსაცემი კუთხით), ამჟამად შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში მიუღწეველი არ იყო ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება მსოფლიოს ქვეყნების მიერ, და არა მარტო აღიარება, ე.ი. დე იურე ცნობა, არამედ დამოუკიდებელი არსებობისათვის ისეთი აბსოლუტურად აუცილებელი პირობის შექმნა, როგორიც საკუთარი ეკონომიკაა. ჩვენ ვლაპარაკობთ არა იმაზე, რომ ახალ მთავრობას ერთ წელიწადში მაინც და მაინც ეკონომიკური სასწაული მოეხდინა, არა, მხოლოდ დაეწყო სწორი მიმართულებით მსვლელობა. მიმართულების სისწორის საზომი კი ამ შემთხვევაში ძალიან მარტივია – უკან სოციალიზმისკენ დაბრუნება თუ თავისუფალ კერძო მეურნეობაზე გადასვლის დაწყება მაინც. გამსახურდიამ არჩევანი აშკარად გააკეთა; არც დაუმალავს (გავიხსენოთ მისი გამოსვლა უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე, სადაც მან სოციალიზმის ჯანსაღი საწყისები აქო). კომუნისტების მმართველობის ბოლო წლებში მომხდარ გარკვეულ ლიბერალიზაციას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ მან სოციალიზმის ერთგვარი რესტავრაციაც კი მოახდინა. მრავლისმეტყველია უაღრესად მოსწრებული გამოთქმის –"გაზვიადებული სოციალიზმის" – გაჩენა. (იჯარა და შავი ბაზრის ლეგალიზაცია – თანაც ესეც კომუნისტების დროს მოხდა – კერძო წარმოება არ არის, არც ზოგი მაღაზიის გაყიდვა ნიშნავს ჯერ კერძო წარმოებაზე გადასვლას).

ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე რუსეთის იმპერიამ შეიცნო, რომ არსებობის ახალი ფორ-ტიც. ეს განპირობებული იყო, ჯერ ერთი, ბალტიისპირეთის საკითხის განსხვავებულობით მსოფლიო პოლიტიკის დონეზე, და მეორეც, თვით ბალტიისპირეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ხასიათით. მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთისაგან განსხვავებით საქართველო მსოფლიოს ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის განუყოფელ ნაწილად იყო ცნობილი, მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეშვეობით შესძლო მსოფლიოსთვის თითქმის ბალტიისპირეთის დონეზე გაეხსენებინა თავი და ნორმალური მთავრობის პირობებში საბჭოთა იმპერიისათვის უაღრესად ძნელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის უგულებელყოფა.

ასე რომ, თუკი საბჭოთა კავშირს სურს კავკასიის შენარჩუნება, და ეს, ვფიქრობ, საეჭვო არცაა, ლოგიკურია, რომ მისთვის უაღრესად ხელსაყრელი უნდა იყოს სახელგატეხილი ანტიდემოკრატიული რეჟიმის არსებობა საქართველოში. არც გამსახურდიას შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგი იქნება იგი, რომც შეეძლოს ეს, რადგან, ერთის მხრივ, მის სკანდალურ მოქმედებებზე პასუხისმგებლობა საბჭოთა მთავრობას კი არა, ქართველ ხალხს ეკისრება, გამსახურდია ხომ კრემლის მიერ პირდაპირ დანიშნული ცკ-ს პირველი მდივანი არ არის, არამედ "ერის მიერ 87%-ით არჩეული" პრეზიდენტია! (სინამდვილეში რა იმალება ამ მეტისმეტად ზედაპირული "ჭეშმარიტების" უკან, ეს სხვა საქმეა!). შემთხვევითი არ არის, რომ ამ დღეებში ედ.შევარდნაძემ თავის ინტერვიუში შეგვახსენა ეს "საპატივცემულო 87%"! (პირველსავე გადაცემაში საკავშირო ტელევიზიის კვლავ ჩართვის შემდეგ).

კრემლი რომ უშუალოდ აგებდეს პასუხს იმისთვის, რაც დღეს საქართველოში ხდება, დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა საქართველოში პოლიტპატიმრების გაჩენა, მაგრამ ახლა, როდესაც ყოველივე ეს კეთდება "დამოუკიდებელი" დიქტატორის მიერ, ამით მხოლოდ საქართველოს უტყდება სახელი. მოსკოვს კი შეუძლია ფაქტიურად არაფერ შუაში არ იყოს და თანაც ახალი იმპერიის შექმნაში ხელისშემშლელი ოპოზიციაც მოშორებული აღმოჩნდეს. (დღეს ხომ ამის გაკეთებას როდიონოვი აღარ სჭირდება!). შეიძლება დავუშვათ საშინელი აზრიც: ხომ არ თამაშდება გენიალურად მოფიქრებული და მართული შემზარავი სცენარი, რომელშიც გათვალისწინებულია "შეიარაღებული ოპოზიციის" მიერ ვითომდაც განხორციელებული "სახელმწიფო გადატრიალების" ყალბი სურათის შექმნა, რაც, 1934 წელს კიროვის მკვლელობის მსგავსად, ფართო მასშტაბის რეპრესიებისათვის სიგნალი და საფუძველი უნდა გახდეს?! თუკი ასეთი რამ განხორციელდა, მოსკოვი შემდეგ, უკვე მას მერე, რაც ქართული საზოგადოებრიობის საუკეთესო ნაწილს ფიზიკურად მოიშორებენ, სტაბილიზატორისა და დემოკრატიის დამამკვიდრებლის როლში მოგვევლინება, რომელსაც ერთადერთს შეუძლია ამ ხალხში ნორმალური მდგომარეობის აღდგენა და კავკასიის საკითხიც ჩინებულად იქნება გადაწყვეტილი. ამიტომ ეროვნული მოძრაობა დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს თავისი ბრძოლის გარეგნულ ფორმებსაც კი და ხელი შეუშალოს მთავრობის ყოველ მცდელობას – შექმნას "შეიარაღებული ოპოზიციის და სახელმწიფო გადატრიალების" ყალბი სურათი.

ასე რომ, მეტროპოლიისათვის დღემდე გამსახურდიას შენახვა თავისი სადამსჯელო აპარატითურთ უაღრესად ხელსაყრელი იყო. სანამდე გაგრძელდება ეს, ძნელი სათქმელია, მოსკოვისთვის გამსახურდიას რეჟიმი საჭირო აღარ იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 1. რუსეთმა შეგნებულად თქვა უარი იმპერიაზე და მიესალმება (ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგი არ არის) დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს არსებობისა. ეს ვარიანტი ჯერჯერობით მაინც სრულიად არარეალური ჩანს; 2. იმპერიამ აღადგინა ბატონობის ძველი კლასიკური ფორმა – რაც ფაქტიურად წარმოუდგენელია. ამგვარად, რჩება შემთხვევა, თუ გამსახურდია წარმატებით შესძლებს ოპოზიციის ფიზიკურ განადგურებას. მაგრამ მთლიანად არც მეოთხე ვარიანტია გამორიცხული: რადგანაც საქართველო მაინც საბჭოთა იმპერიის ნაწილად ითვლება, საბჭოთა კავშირი მთლიანად ვერ იცილებს პასუხისმგებლობას ყბადაღებული რეჟიმის გამო და ხელს უწყობს საქართველოში მისგან მართულ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ადამიანური სახის, ლიბერალური, მეტნაკლებად დემოკრატიული მთავრობის შექმნას, რომელიც დღეს არსებული საერთო სურათისათვის უფრო შესაფერისია. მაგრამ ლიბერალური, მეტნაკლებად დემოკრატიული მთავრობის პირობებში, თუნდაც იგი მოსკოვისადმი ლოიალობას ცდილობდეს, მაინც ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები იქნება დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამიტომ არ ვიცი, მოინდომებს თუ არა მოსკოვი ახლო მომავალში ამ მეოთხე ვარიანტის განხორციელებას. ვნახოთ რა იქნება შემდეგ.

თამარ ჩხეიძე

---

13 ოქტომბერს მერაბ კოსტავას დაღუპვიდან ორი წელი შესრულდა. დღეს კიდევ უფრო ნათელია ის დიდი დანაკარგი, რაც მაშინ განიცადა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. მერაბ კოსტავასთვის პოლიტიკა სიმართლისათვის ბრძოლის მხოლოდ საშუალება იყო. ამიტომაც მხოლოდ კეთილშობილებას და სამართლიანობას ცნობდა იგი ეროვნულ მოძრაობაში.

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები თამამად ამტკიცებენ, თითქოს მერაბ კოსტავა ცოცხალი რომ იყოს, აუცილებლად მათ გვერდით იჯდებოდა უმაღლეს საბჭოში. რა თქმა უნდა, ეს უმაღლესი საბჭოსთვის დიდი პატივი იქნებოდა და იგი ვერ შესძლებდა იმ სამარცხვინო მონური პოლიტიკის გატარებას, რითაც ასე ისახელა თავი მიმდინარე წლის განმავლობაში. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია მერაბის პოზიცია: მას არაერთხელ უთქვამს, რომ თვითონ წინააღმდეგი იყო თავისი მონაწილეობისა დეპუტატთა კორპუსში, თუმც ამასთან ერთად იგი თვლიდა, რომ არჩევნებში ეროვნული ძალების მონაწილეობა უაღრესად საჭიროა. ერთი რამ კი სრულიად უეჭველია – მერაბ კოსტავა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იდგებოდა იმ მთავრობის გვერდით, რომელმაც უკვე რამდენჯერმე ესროლა დემონსტრანტებს, მერაბ კოსტავა ვერ იდგებოდა იმ მთავრობის გვერდით, რომელსაც ყავს პოლიტპატიმრები (!)

22 სექტემბერს, როდესაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ომონელებმა და შეიარაღებულმა მოხალისეებმა ბარბაროსულად დაარბიეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შტაბ-ბინა, ზურაბ ჭავჭავაძის მიერ მოწყობილი მემორიალური ოთახი, წაიღეს ყველაფერი რისი თან წაღებაც კი შეიძლებოდა, არქივები, დოკუმენტები, საზოგადოების ქონება, ერთ-ერთმა შეიარაღებულმა "ჯენტლმენმა" კედელზე მერაბ კოსტავას ფოტოსურათი შენიშნა (მერაბი ილია ჭავჭავაძის სა-



ზოგადოების წევრი და მისი დიდი გულშემატკივარი იყო). -თქვენი საზოგადოება ამ ფოტოგრაფიის ღირსი არ არის-განაცხადა შეიარაღებულმა ბანდიტმა და დაიწყო სტენდის ჩამოგლეჯა როდესაც ჩვენი საზოგადოების წევრი ეცადა ხელი შეეშალა მისთვის, "წესრიგის დამცველმა" მას ავტომატი მიუშვირა. ასე იარაღის და ძალმომრეობის გზით ცდილობენ დღეს ახლესი ისტორიის შესახებ სიმართლის დამახინჯებას. ხოლო მერაბ კოსტავას ნათელ პიროვნებას ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისათვის იყენებენ. ღვთის წყალობით დიდი ხნით ყველაფრის დაფარვა არ მოხერხდება

ღმერთმა გაანათლოს მერაბ კოსტავას სული

კ. კახაძე

---

# გამსახურდია იმარჯვებს, საქართველო მარცხდება!

გამსახურდიამ გაიმარჯვა პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში!

გამსახურდიამ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში!

გამსახურდიამ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სძლია 2 სექტემბრის მშვიდობიან მიტინგს!

გამსახურდიამ 20 ათასიანი ბრბოსა და "ომონის" დახმარებით 22 სექტემბერს ბლევირი ადინა რუსთაველის გამზირზე საპროტესტოდ განლაგებულ ბარიკადებს და სისხლი ადინა ამ ბარიკადების 200-ოდე დამცველს!

გამსახურდიამ იმავე ღამით წარმატებით იავარჰყო ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიებისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შტაბ-ბინები!

გამსახურდიამ დიდი მხედართმთავრული ოსტატობით დაარბია თბილისის ზღვაზე გულმშვიდად დაბანაკებული, ძმათა შორის სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ტელევიზიის ტერიტორიიდან გაცლილი ეროვნული გვარდია!

გამსახურდიამ 5 ოქტომბერს წარმატებით ჩაახშო სისხლში ეროვნული გვარდიის დარბევით აღშფოთებული, პროტესტის ნიშნად რუსთაველის გამზირზე გამოსული ქართველობა!

გამსახურდიამ თავისი გაიტანა ყველა დიდი თანამდებობის პირის დანიშვნისას...

დააპატიმრა პოლიტიკური ოპონენტები...

აი, ასეთი გამარჯვებული პრეზიდენტი, ნამდვილი ბაცბაც-ტელი ჰყავს საქართველოს!

მ ა გ რ ა მ ,

გამსახურდიას პოლიტიკის წყალობით -

კატასტროფულად დაეცა ეკონომიკა;

იმატა ძმათა შორის სისხლისღვრამ და სამოქალაქო ომის საფრთხემ;

მსოფლიოში არნახულად გაგვიტყდა სახელი;

გამწვავდა ეთნოკონფლიქტები, არნახულად იმატა დალუპულთა, დაჭრილთა და ლტოლვილთა რიცხვმა;

არნახულად აყვავდა კორუფცია და დანაშაულობანი;

არნახულად იმატა ფასებმა;

არნახულად იმატა ადამიანის უფლებათა დარღვევებმა და ინტელიგენციის დევნამ;

არ გაამართლა გამსახურდიას მიერ დანიშნული თანამდებობის პირების უმრავლესობამ...

და ა.შ. და ა.შ.

ერთი სიტყვით, საქართველოს მდგომარეობა გამსახურდიას მმართველობის ერთი წლის მანძილზე შეიძლება მოკლედ დახასიათდეს ასე:

გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ი მ ა რ ჯ ვ ე ბ ს ,

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ა რ ც ხ დ ე ბ ა . . .

---

# ყირგიზეთმა გვაჯობეს!

დღეს ყველგან ფიგურირებს საკრალური ციფრი – 87%. ეს ის ცნობილი პროცენტებია, რომლითაც ქართველმა ხალხმა "გამოხატა თავისი ნება" და აირჩია პრეზიდენტი. მსგავსი არჩევნები ჩატარდა უკიდეგანო იმპერიის სხვა პროვინციებშიც. ჩვენ ძალზე გვაწუხებს ის ფაქტი, რომ მოძმე სოციალისტურ რესპუბლიკებში – ყირგიზეთში, ტაჯიკეთში და აზერბაიჯანში ეროვნული დარაზმულობა, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა და პრეზიდენტისადმი ერთგულება უფრო მხურვალე და მონოლითური გამოდგა, ვიდრე ჩვენში. ამის პროცენტული გამოხატულებანი ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის საამაყო 87%-საც კი სჯარბობს. მაგალითად, ყირგიზეთის პრეზიდენტობის ერთადერთმა კანდიდატმა ამხ. აკაევმა ამომრჩეველთა ხმების 95,2% მიიღო... სადღა უნდა გამოვყოთ თავი ამის შემდეგ ქართველებმა?

ხუმრობა იქით იყოს და და განა აშკარა არაა, რომ პოლიტიკური მოვლენები მთელი იმპერიის მასშტაბით კვლავაც გარკვეული სცენარით ვითარდება? როგორც ჩანს, თითოეული რესპუბლიკის მიმართ, ბალტიისპირეთის გამოკლებით, ინდივიდუალური სანქციებია გათვალისწინებული, რათა მართლა არ დაიშალოს იმპერია. საუბედუროდ, ამ სანქციათა აღსრულებაში ცენტრს ადგილობრივი ხელისუფალნიც უწყობენ ხელს. ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ მათი წყალობით საქართველო უკვე შუა აზიის სიბრტყეზე განიხილება და არა ბალტიისპირეთისაზე, როგორც ეს 1989 წლის დასაწყისისთვის იყო?

---

# ეგონოთ რომ მათია!

სულ ახლახანს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნამ ერთი შემთხვევა გაგვახსენა: 1989 წლის 26 მაისს ზურაბ ჭავჭავაძის ინიციატივით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მაშინდელი ლენინის და რესპუბლიკის მოედნებზე გრანდიოზული მრავალათასიანი მიტინგებით აღნიშნა. ამავე დროს კომუნისტურმა მთავრობამ და მაშინდელი ოპოზიციის ნაწილმა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ერთობლივი სანქცირებული მიტინგი ჩაატარეს ვაკის პარკში.

"თვითმხილველთა მოწმობით საქართველოს "მთავრობის" თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა და ათობით სხვა პარტიული ფუნქციონერი სხვებთან ერთად მუშტშემართული გამარჯვებულად მღეროდა "მომავალი ჩვენია". "ეგონოთ რომ მათია!" - წერდა ზ. ჭავჭავაძე გაზეთ "ივერიაში" (№8. 4. 06. 89) ზურაბს განსაკუთრებით უყვარდა კომუნისტების და მომავალი მრგვალების შესახებ ამ ისტორიის მოყოლა და თან სიცილით დაუმატებდა ხოლმე: "ეგონოთ რომ მათია!" მაგრამ თითქოს ზურაბი შეცდა. მართლაც მათი აღმოჩნდა მომავალი. მაგრამ არა. ეს მომავალი მარტო დღევანდელი დღე არაა. მომავალი მომავალია!



# 50 ათასი დოლარი გიორგი ხოშტარიას თავში ?!

(რადიოსადგურ "ოპოზიციის ხმის" თანამშრომლის სატელეფონო საუბარი საქართველოს რესპუბლიკის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან ბ-ნ გიორგი ხოშტარიასთან)

– ბ-ნო გოგი, თბილისში დაირხა ხმა, თითქოს თქვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

– მე შემიძლია გიამბოთ, რაშია საქმე. ჯერ ერთი, რამდენიმე დღის წინ, ერთი ოთხიხუთი დღის წინ, ეხლა ზუსტად არ ვიცი, აქ იმყოფებოდა მთავრობის დავალებით სამი თუ ოთხი წარმომადგენელი საქართველოს სუკ-ის, რომლებიც დაინტერესდნენ ჩემი პერსონით და ჩემი ყოფნით სასტუმრო "სპორტში". მერე თითქოს ისინი გაბრუნდნენ უკან.

რამდენიმე დღეში, ორ-სამ დღეში მოყვა ამას ის, რომ, – ეს იყო ზუსტად გუშინ, დაახლოებით 12–13 საათამდე – მე დამირეკეს უცნობმა პირებმა. რუსულს საკმაოდ სუფთად ლაპარაკობდნენ, მსუბუქი კავკასიური აქცენტით, და მითხრეს, რომ მათ უხდიან 50 000 დოლარს ჩემს თავში. შემოგვთავაზეს შევხვედროდი მათ. მე გავგზავნე ერთი პირი, რომლის დასახელების უფლება არა მაქვს, საკმაოდ სოლიდური და ავტორიტეტული პიროვნება ამ საქმეში. ის მივიდა მათთან და მათ თქვეს, რომ თუ მე მათ გადავუხდი ამაზე მეტ თანხას, ისინი მე შემეშვებიან და მე სამ დღეში უნდა დავტოვო მოსკოვი ყველა ვარიანტში. თუ არა და ყველგან მომძებნიან და, ასე ვთქვათ ლიკვიდაციას გამიკეთებენ. მე თავიდან მეგონა, რომ შანტაჟი და იოლი, იაფფასიანი რამე ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ იმ პირმა მითხრა, რომ ძალიან სერიოზული ამბავია და ამას უყურადღებოდ ძალიან გთხოვთ ნუ დატოვებთ.

– როგორ რეაგირებას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?

– რომც მქონდეს, მე, ცხადია, შანტაჟისტებს არ გადავუხდიდი ფულს, მით უმეტეს, ამოდენა თანხა მე თვალით არ მინახია. საქმე იმაშია, რომ 21-ში მე უნდა გავემგზავრო ისრაელში; საკმაოდ მაღალ დონეზე, სოხნუთმა, საზოგადოება არის, მსოფლიო ებრაული სააგენტო, მე სხვა პირებთან ერთად დამპატიჟეს იქ, როგორც ებრაელი ხალხის მეგობარი, იმიტომ, რომ ჩემს მინისტრობის ყოფნისას, ჩვენს სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა სწორედ ებრაულ მსოფლიო სამყაროსთან. მე დამპატიჟეს, როცა უკვე აღარ ვიყავი მინისტრი, შემდგომში.

მე ვიცი რა გამსახურდიას ხასიათი, რომელიც არა თუ... უბრალო კაციც რომ გადის, არ უყვარს, როცა საზღვარგარეთ გბლის პიროვნება, რამე არ გაიტანოს და მით უმეტეს, იცის, რომ მე ძალიან კარგი კონტაქტები მაქვს, ძალიან მაღალ დონეზე მაქვს კონტაქტები, და გასაგებია, რომ ჩემი იქ გასვლა მას ძალიან არ აწყობს. და მით უმეტეს, სწორედ ამ საზოგადოება – სოხნუთთან კონტაქტები.

ვიცი აგრეთვე, ეს ბ-ნმა თენგიზ სიგუამაც ერთხელ თქვა კიდევაც, რომ შეკრება იყო ერთი სამი კვირის წინ, თუ ერთი თვის წინ, სადაც მონაწილეობდა გამსახურდიას გარდა მისი საბჭო, რაც არის ფაქტიურად მისი ცოლი, ცოლისდა, ომანიძე და სხვები და ითქვა, რომ თუ ეხლავე არ გაანადგურეს ოპოზიციის ლიდერები, (მე ახლა ლიდერობაზე პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ გარკვეულ პერსონას წარმოვადგენ და, ასე თუ ისე, მიცნობს ხალხი), რამდენიმე თვის მერე მაინც იქნება უკმაყოფილება, მათ ესმით, რომ ეკონომიურად იმდენადაა დანგრეული რესპუბლიკა, რომ ადრე თუ გვიან ხალხი მაინც – თუნდაც შიმშილიდან გამომდინარე – ხმას ამოიღებს, რომ ამ დროისათვის არ იყოს ის პიროვნება, რომელსაც შეუძლია გარკვეულად ორგანიზაცია, პიროვნებები, რომლებიც ორგანიზაციას გაუწევენ ოპოზიციას და ამ უკმაყოფილებას. და აი აქედან გამომდინარე, ეცდებიან არა უბრალოდ, ე.ი. დაჭერით და გასამართლებით, რაც ძალიან არაპოპულარული იქნება და ძნელი იქნება, არამედ სწორედ აი ასეთი ტერორით. აი, თუნდაც ის ფაქტი, თუ როგორ მოექცნენ გია ჭანტურიას. თვითმფრინავის მობრუნებამ და დასმამ ფაქტიურად საფრთხის ქვეშ დააყენა მათი სიცოცხლე და მთელი მგზავრების სიცოცხლე, 170 კაცის. აგრეთვე ციხის ამბავი, როდესაც იქ პროვოკაციულად გააღეს კარები, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა გია ჭანტურიას და გოგა ხაინდრავას განადგურება, თუ იქ მოხდებოდა სისხლისღვრა. ესეც მათი ხელწერაა, ძალიან კარგად ჩანს.

მე მქონდა დღეს, უკვე ოფიციალურად, დასამალი არაფერი მაქვს, აღრეც ვხვდებოდი მე შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას დავალებით, მქონდა რამდენიმე კონტაქტი და დღესაც შევხვდი მე ჩემი საკუთარი ინიციატივით მას და თასხედაც იყო ამდაგვარი მცდელობა. გამოყოფილი იყო საკმაოდ დიდი თანხა, კიდევ უფრო დიდი... იქაც იყო ამდაგვარი ეჭვები, საკმაოდ ძლიერი ეჭვები არსებობს, რომ იქაც ამდაგვარი რამ იყო, იქაც თითქოს აი ებეთი მცდელობით, რომ მერე ეს უკვე რუსეთის მემარჯვენეებისათვის, დავუშვათ, ჟირინოვსკისათვის ან "პამიატ"-ისათვის გადაებრალებინათ.

შევარდნაძე, საინტერესებდა მისი თვალსაზრისი როგორ აფასებდა ამ სიტუაციას და მან თქვა, რომ ეს პრობლემა, საქართველოს პრობლემა, მთავრობისა და ოპოზიციის დაპირისპირების და სიმწვავის პრობლემა, უკვე სცდება არა მარტო საქართველოს, არა მარტო საბჭოთა კავშირის ფარგლებს, არამედ მსოფლიოს ეხება. ყველა არის ამ დესტაბილიზაციით შეწუხებული, ვინაიდან ეს ფეთქებადი სიტუაცია თუ შემდგომ გაფართოვდა და გადავიდა, დავუშვათ, უკვე სხვა რიგ რესპუბლიკებში, ამას შეუძლია მთელი მსოფლიო ომის საზღვრამდე მიიყვანოს და, საერთოდ, ყველა დაძაბულობის კერები ყოველთვის შიშს შემოთებას იწვევენ, და ეს საოცარი, არალოგიკური, თვითნებური საქციელი მთავრობისა, რაშიც ლოგიკაც კი არ შეიმჩნევა, თუნდაც მათთვის სასარგებლო, აი, ეს ყველაფერი ძალიან აშფოთებს მსოფლიო საზოგადოებას, შეშფოთებული არიან, შეიძლება ითქვას, ყველა ევროპული საელჩოები, ამერიკის, პოლანდიის და სხვები საქართველოში შექმნილი სიტუაციით. მე მაქვს მათთან კონტაქტი. ეხლა 2 საათზე უნდა იყოს ასეთი იმპროვიზირებული პრესკონფერენცია, იმიტომ, რომ ეს ამბავი რომ გახმაურდა, უამრავმა სააგენტომ დამირეკა და ეხლა 2 საათზე მოსკოვის დროით აქ უნდა მოვიდნენ პოლში, სასტუმროში და ფაქტიურად გამოვიდეს პრესკონფერენცია. დღეს კიდევ ერთი შეხვედრა მაქვს პოლანდიის საელჩოში, პოლანდიის ელჩთან, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს და მასთან მეწყნება კიდევ საუბარი. კიდევ ველაპარაკე რუსეთის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრს, კოვალიოვს, არუანიკოვს. კონგანიასნის ველაპარაკე დღეს და ძალიან შეშფოთებულია და რაღაცას გვთავაზობენ, უფრო დასამალ ადგილს, მაგრამ მე არ მინდა დავიმალო, ვნახოთ; ერთი სიტყვით. ჟურნალისტები მირეკავენ დილიდან, მე უფრო მინდა, რომ პირველ რიგში გავახმაურო ეს ამბავი და იცოდეს ყველამ... და თუ შნო აქვთ, მაგის გაკეთების, გააკეთონ..

– ჩვენ ვილონებთ ყველაფერს, რომ პრესაში და რადიოში მოხვდეს ეს ინფორმაცია.

– პირველ რიგში მე პოლიტიკური დაცვა მჭირდება და პოლიტიკური გახმაურება. ჩემი დაცვა ეს არის და არა ის, რომ დავიმალო და ა.შ.

– გასაგებია.

– აი, ეს არის სულ, რაც შემიძლია გიამბოთ. თითოეულ ჩემს ნათქვამზე და სიტყვაზე აბსოლუტურად ვაგებ პასუხს.

– დიდი მადლობა ინფორმაციისათვის.

18.10.91

14 სთ.30 წთ. თბილისის დროით.

## პრეზიდენტის სადი ჟავშნოსანი

მას შემდეგ, რაც გაზ. "საქართველოს რესპუბლიკის" ყოფილმა რედაქტორმა ბ-ნმა მამუკა ფარჯამეიძემ "იმედის" თვითმფრინავის ბორტზე რამდენიმე, შესანიშნავი, ობიექტური ინფორმაციის შემცველი ნომერი ისრილა გაზეთისა, საპასუხოდ პრეზიდენტმაც მისი ერთგულად ნამსახურები რედაქტორი დაუყოვნებლივ მოიხრილა რედაქტორის სავარძლიდან. არადა, ჟურნალისტისათვის რამდენი საძრახისი საქმე აკეთებინა მანამდე ამ ადამიანს!

გამონთავისუფლებულ ადგილზე პრეზიდენტმა გაზ. "თავისუფალი საქართველოს" რედაქტორი ქ-ნი მარიკა ახაიშვილი დაამტკიცა, გარდა ამისა, რომ ეს ქალბატონი "მრგვალი იდეოლოგიის" განუხრელი გამტარებელია ცხოვრებაში, იგი თავისი ქცევით პრეზიდენტისადმი მეტ მორჩილებას გამოიჩენს და ამიტომ მამაკაცზე უფრო სასურველი კანდიდატია ამ მაღალ პოსტზე (ამასვე ადასტურებს პრეზიდენტის მომხრე ფანატიკოს ქალთა დივიზიებიც).

აღსანიშნავია, რომ მაღალ სახელმწიფო იერარქიებზე ხელისუფლება, როგორც წესი, უპირატესობას ერთგულ ქალბატონებს ანიჭებს-სამი წამყვანი გაზეთის რედაქტორი უკვე ქალია, ისინი უსიტყვოდ ასრულებენ პრეზიდენტის ყველა მითითებას, ურჩეულ ხვდებიან, თუ რა ესიამოვნება პრეზიდენტსა და მის კამარილიას, მათი გაზეთების ფურცლებზე გასაქანს არ აძლევენ სხვადასხვა მოაზროვნეებს, -მიითმენენ პრეზიდენტის ოპონენტებს, არა მარტო "ქუჩის გონებადახშულებულ ოპოზიციას", არამედ პარლამენტის "ულტრასაც განათლებულ, ულტრასაც გაცნობიერებულ და პოლიტიკურად მომწიფებულ" ოპოზიციასაც კი. დიახ, ისინი პრეზიდენტის ერთგული საინფორმაციო ნაგაზები არიან. ტყუილა კი არ შეარქვეს მათ აღნიშნულ-"პრეზიდენტის საინფორმაციო ბულტერები" აი ისინიც:

1 ქ-ნი ნანული ბოცვაძე-გაზ "თბილისის" რედაქტორი, სახელმწიფო ნომერი ზგ-001;

2 ქ-ნი მარიკა ახაიშვილი-გაზ "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორი, სახელმწიფო ნომერი ზგ-002;

3 ქ-ნი ია მეხრანელი-გაზ "სვობოდნაია გრუზიას" რედაქტორი, სახელმწიფო ნომერი ზგ-003

ერიდეთ ამ "ბულტერებს" "პუტჩისტებო" და საერთოდ პრეზიდენტისგან განსხვავებულად აზროვნების მოყვარულებო!

ვაჟა ყაჭიაშვილი

## გამოიწერეთ გაზეთი "ივერია"

I წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 25 მანეთი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბევის შემდეგ ჩვენი დროებითი ადგილსამყოფელია: ქ.თბილისი, კრილოვის ქ.№4. ტელ: 96-24-30

## ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების განცხადება

გაგაცნობთ განცხადებას, რომელიც ჩვენი საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებამ გააკეთა აფხაზეთის არათანასწორუფლებიანი არჩევნების წინ. განცხადების გამო ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების წევრები რესპუბლიკურ პრესაში პუტჩისტებად გამოაცხადეს, ხოლო მათი წინასაარჩევნო შეხვედრა საზოგადოებრიობასთან 19 სექტემბერს სოხუმის ქართულ თეატრში კაპას ქალთა ბატალიონებით დაარბიეს.

1991 წლის 29 სექტემბერს დანიშნულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილება თვლის, რომ ის წინასწარი გარიგება და მიღწეული "კომპრომისი" აფხაზეთის წითელ ხელისუფლებასთან აფხაზეთის ასსრ მომავალ უმაღლეს საბჭოში ადგილების განაწილების შესახებ, რომელიც განხორციელდა საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად და, პრაქტიკულად, ხალხის ზურგს უკან, კატეგორიულად მიუღებელია ქართველი და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის და ფაქტიურად წარმოადგენს წინამორბედი კომუნისტური მთავრობების მიერ წარმოებული მოღალატური პოლიტიკური კურსის გაგრძელებას. ადამიანისა და ერის უფლებების საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონი კვალიფიცირებულ უნდა იქნას როგორც შეუნიღბავი აპარტეიდი, რომელიც ერთი ეროვნების წარმომადგენლებს ანიჭებს უპირატესობას სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ხარჯზე (საარჩევნო ოლქები შექმნილია ეროვნული ნიშნის მიხედვით; 17 პროცენტ აფხაზ მოსახლეობას უმაღლეს საბჭოში გამოყოფილი აქვს ადგილთა 43 პროცენტი, 49 პროცენტ ქართველობას – 40 პროცენტი, ხოლო სხვა ეროვნების წარმომადგენლების 35 პროცენტიან მოსახლეობას – 17 პროცენტი ადგილებისა.

გამომდინარე აქედან, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილება გამოხატავს რა სამართლიან შეშფოთებას შექმნილი მდგომარეობის გამო, გამოთქვამს პროტესტს, შეუძლებლად თვლის ამგვარ ანტიდემოკრატიულ არჩევნების ჩატარებას და ამიტომ:

1. მოუწოდებს ყველა დეპუტატობის კანდიდატს უარი განაცხადოს არჩევნებში მონაწილეობაზე.

2. მოუწოდებს აფხაზეთის მოსახლეობას ბოიკოტი გამოუცხადოს 29 სექტემბრის არჩევნებს.

3. მოითხოვს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად შეცვლილ იქნას კანონი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ და დაინიშნოს ახალი დემოკრატიული არჩევნები, სადაც გამორიცხული იქნება სხვადასხვა ეროვნების დეპუტატთა წარმომადგენლობაზე ლიმიტის დაწესება;

4. მოითხოვს არჩევნების ობიექტურად ჩატარების მიზნით პარიტეტულ საფუძველზე შეიქმნას ახალი საარჩევნო კომისია, რომელშიც წარმოდგენილი იქნება აფხაზეთის საზოგადოების მთელი პოლიტიკური სპექტრი, რაც ე.წ. "გკჩპ"-სთან თანამშრომლობით სახელგატეხილი აფხაზეთის ხელისუფლებისაგან არჩევნების პროცესში ნეგატიური ჩარევის შეუძლებლობის გარანტი იქნება.

## პოეტის ქნარითა თუ კომბლით

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შეშფოთებულია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის კომუნისტური ტრადიციების ერთგულებით, რაც კვლავ შესანიშნავად დადასტურდა მწერალთა სასახლის ჩარაზვითა და შიგ მილიცია-"ომონის" რაზმების ჩაყენებით. ამ "სამხედრო მანევრით", მილიტარიზებული ქვეყნის მწერლებს საშუალება მოესპოთ შენობაში კრებების ჩატარებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობისა. უნდა ითქვას, რომ ესეთი თავხედური, ცინიზმით აღსავსე ნაბიჯი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თავის დროზე ლავრენტი ბერიასაც არ გაუბედავს. თუმცა, რა უნდა გაგვიკვირდეს 2, 3 სექტემბრისა და 4-5 ოქტომბრის მოვლენების შემსწრეთ! საკითხავია ა უფრო დიდ ცოდვად დააწვება ახალ რეჟიმს – თბილისის ქუჩებში დაღვრილი უდანაშაულო ადამიანების სისხლი, თუ ამავე ხალხისათვის საინფორმაციო ვაკუუმითა და კრება-მიტინგების აკრძალვით ტვინისა და გონების დახშობა? ამაზე უახლოეს მომავალში ღვთისა და ერის წინაშე უთუოდ აგებენ პასუხს ახალი მეთოდები, მითუმეტეს, ქართული მწერლობის წარმომადგენლები და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები, რომლებმაც პოეტის ქნარს რატომღაც კომბალი ამჯობინეს.



## პრეზიდენტ- "ნოსტრადამუსის" ერთი გამოსვლიდან

"ვერ დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა (ე.ი. თუ ბ-ნი პრეზიდენტი გადადგა, რედ.). აი, ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება – შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში და მისი ხელმძღვანელის ხელში. მათ შორის იქნება შეიარაღებული ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ზეგავლენისათვის და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა. მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები. აღარ იარსებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათით მომარაგება, სამედიცინო მომსახურება თბილისი შესაძლოა გადაიქცეს მკვდარ ქალაქად და საერთოდ შეწყვიტოს არსებობა."

პრეზიდენტი უარეს სურათს გვიხატავს მისი გადადგომის შემთხვევაში სრულიად საქართველოს მასშტაბითაც.

აი, მეგობრებო, რა უბედურება შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის სტატუსისა და პიროვნების ხელყოფას! ასე შეაშინა მან დეპუტატები და სრულიად საქართველო!

კითხულობ ამ სტრიქონებს და ფიქრობ: მართლა სჯერა ამ ადამიანს, რასაც ამბობს, თუ?. ნუთუ ვინმემ შეიძლება სერიოზულად აღიქვას ზ.გამსახურდიას გადადგომის შემთხვევაში თბილისის დაქცევის სურათი? არ ვიცით, ნამდვილად არ ვიცით! თბილისი, რომელიც ურიცხვმა მტერმა ვერ აღგავა პირისაგან მიწისა, შესაძლოა ერთი პიროვნების გადადგომამ მოსპოს XX საუკუნის მიწურულში?

ღმერთო, შენ დაგვიფარე ცრუწინასწარმეტყველთაგან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორი

# დიდი ოქტომბრის გამარჯვების წლისთავს გვილოცავენ აღმოსავლეთის დიქტატორები

ბ-ნო პრეზიდენტო, იმ ქვეყნების სახელით, რომლებიც თავდადებით აშენებენ თავის ბედნიერ მომავალს, მხურვალედ მოგილოცავთ ხელისუფლების სათავეში მობრძანების წლისთავს. გისურვებთ რომ უფრო დაუნდობლად გაანადგუროთ - სახელმწიფოს, ერისა და პირადად თქვენი მტრები. გვიგულეთ მოკავშირედ ამ დიდ საქმეში. რადგან ჩვენი ოპოზიცია, ალაჰის მადლით, უკვე კარგა ხანია მოუსავლეთის გზას გავუყენეთ და აღარა გვაქვს სიამოვნება მათი სისხლის შესმისა., ამიტომ გამოდი შენს საყვარელ მიტინგზე, შეგვეხმიანე და უმალ მანდ გაჩნდებით. ლაშქარიც ურიცხვი გვყავს და თოფ-ზარბაზანიც ბლომად გვაქვს. საბჭოთა რუსები ვიდრე იარაღის მოყიდვით თქვენ გაგაღატაკებდნენ, მანამდე რუსების ყაენმა ჩვენგან ზიდა იარაღში ოქრო და ნავთი. მოკლედ, დაგვიძახე და წუთებში მოვსპობთ მაგ ქუჩის გონებადაბნელებულ მაწანწალებს, ხოლო თუ თქვენი ნებართვაც იქნება, მათ შორის საუკეთესოებს აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზრებზე დავყიდით. ბ-ნო პრეზიდენტო ნუ უხმობთ ჩვენს თანამოძმე ჩეჩენ-ინგუშებსა და თურქებს, ისინი ჯერ კიდევ სუსტები და ცუდად შეიარაღებულები არიან. ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენმა მეგობარმა, სახელოვანმა სადამ ჰუსეინმა, ოკეანისგაღმელ სპასალარ - შვარცკოფს ლამის კუდით ქვა ასროლინა, და ეგეთი რა გახდა თქვენი შემაწუხებელი სპასპეტყოფილი - ჩინგიზ კიტოვანი?

ჩვენ, მომავლის რწმენას გვმატებს თქვენი ნორჩი დიქტატორული ქვეყანა, რომელიც დღითი-დღე ფრთებსა შლის. ერწმუნეთ აღმოსავლეთისა და ბოლშევიკების უდიდეს გამოცდილებას იმაში, რომ ცოტა შეიძლება საქმის დაწყება იყოს რთული, თორემ სადამსჯელო ბორბალი რომ დაბრუნდება, მერე ყველაფერი ისე წავა, როგორც ფლავში - ქიშმიში, ან თქვენი სპეციფიკის გათვალისწინებით, ღომში - სულუგუნი. ამის შემდეგ, ხელისუფლებას შეუძლიან ფეხი-ფეხზე შემოიდოს და ფართე ტომრები მოუმარჯვოს ეროვნული ჯიქნიდან მსხვილ ნაკადებად გადმოდენილ ოქრო-ვალიუტას. გვჯერა, რომ თუ კვლავაც ასეთი ტემპებით იელით, უახლოეს ხანებში გურჯისტანიც აზია-აფრიკა-ამერიკის სახელოვანი ქვეყნების რიგში ჩადგება.

'იმედისმომცემია თქვენი მშობლიური ერის მიერ, ორასწლოვან მონობაში შეძენილი ჩვევები, რაც თქვენს რეჟიმს დიდათ წაადგება წინ. ერთ წელში თქვენ თავი ისახელეთ ადამიანის ელემენტარული უფლებების დაუნდობელი მოღრჩობით და მკვეთრად გაემიჯნეთ ყბადაღებულ „ჰელსინკის ხელშეკრულებას". ჩვენთვის დღემდე გაუგებარია, რა გქონდათ საერთო უსაქმურთა ამ შეკრებასთან ჰელსინკში, ან დღესაც რატომ ჰქვიან თქვენს პარტიას ჰელსინკის კავშირი? აბა წარმოიდგინეთ, თითეულ ადამიანს იმის კეთების უფლება რომ მისცე, რაც მას სურს - სადამდე მივა საქმე. ან ჩვენ, ერის რჩეულებს რა ვირის თავ-ფეხიღა დაგვრჩება? სწორედ ამიტომ, ჩვენ შეგვიძლიან ჰელსინკის სანაცვლოდ, სრულიად უანგაროდ გამოვიმეტოთ თქვენი პარტიისათვის რომელიმე დიდი ბელადის საპატიო სახელი, ან იმ ქალაქების სახელი სადაც ასეთი ბელადები მოღვაწეობდნენ. თქვენ ეს დაიმსახურეთ!

გულახდილად მოგახსენებთ, რომ ცოტა შურითაც ვივსებით, როდესაც ვგებულობთ, რომ ამ ერთი ბეწო ქვეყანაში უკვე ასეულობით პოლიტპატიმარი და ერთი სინდისის პატიმარიც კი გყავთ. საინტერესოა, რომელია ის უსინდისო პატიმარი? ამბობენ კინოოპერატორია ვიღაცა და თურმე მას გადაუღია სახელოვანი სარდალ-როდიონოვის 9 აპრილის ოპერაციაო. ნუ გვიწყენთ და ეროვნების განურჩევლად, ჩვენ სათანადო პატივს მივაგებთ ყველა მეომარს ვინც კი ქუჩის უსაქმურთა გამოსვლებს აღკვეთს. 9 აპრილის პუტჩის ხელმძღვანელები დასჯის ღირსნი რომ არიან, ეს თქვენვე დაადასტურეთ მრავალი მათგანის დაპატიმრებით. სასიხარულოა, რომ გარეთ დარჩენილებზეც უკვე დაპატიმრების ორდერებია გამზადებული. მას თურმე იმ პიროვნების ხელმოწერაღა აკლიათ, რომელმაც 1989 წლის აპრილში თქვენს დაპატიმრებაზეც მოაწერა ხელი. მართლაც გაურკვეველია, როგორ მოხვდით იმ ხანებში ესოდენ ბინძურ კამპანიაში? ან რატომ ებრძოდით იმ პარტიას, რომელმაც უდრტვინველად გადმოგცათ ძალაუფლება? მართალია, მრავალ მაღალ, სავაზირო თანამდებობაზე ბოლშევიკ-მოხელეთა დანიშვნით გარკვეულად გამოისყიდეთ თქვენი ცოდვები, მაგრამ ეს არა კმარა; ჩვენ ბუნებით ნამდვილი ბოლშევიკები ვართ, ამიტომ ალბათ მეტი ყურადღებით უნდა მოვექცეთ ერთმანეთს. დიახ, თქვენი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, როდემდე შეიძლება ვეღოლიავოთ ქუჩის გონებადაბნელებულ ოპოზიციას, ამ ხელმოცარულ უსაქმურებს?

როდიონოვი ვახსენეთ და ჩვენ გვჯერა, რომ თქვენც, ვითარცა გურჯთა უზენაესი სარდალი, გულის სიღრმეში პატივისცემითაც კი ხართ გამსჭვალული ამ მეომრისადმი და საერთოდ, რუსთა მთავარსარდლობისადმი. თავი დავანებოთ იმ ფაქტს, რომ იარაღით ურდო გამარაგებთ და თქვენს სუკ-სა და შინაგან საქმეთა სამინისტროსაც ყაენი აფინანსებს. განა მათ სპასალარს არ მიმართეთ თხოვნით, და ბუნტისთავ ჯაბა-ხანის „მხედრიონის" დასარბევად ლაშქარი არ გამოსთხოვეთ? ალაჰის მადლით თქვენ, სახელოვან „ომონთან" ერთად, წარმატებით დააგვირგვინეთ შავნაბადას გმირული ბრძოლა. ანდა მოსკოვის ურდოს პუტჩის დღეები გავიხსენოთ, როდესაც მთელი მსოფლიო გაკვირვებული დარჩა თქვენის დიპლომატიური დაკვირვებულობითა და მოქნილობით. თქვენ მაშინ რუსთა ახალ, უდღეურ ყაენს მინდობილმა, საკუთარი გვარდია გააუქმეთ. ჩინგიზ-სპასალარი თავის მონასპით არ შეურიგდა უკანონო გადაწყვეტილებას და რკონში დასცა ბანაკი.







განა მაშინ, ურდოდან გამოგზავნილ ერთ-ერთ ნოინთან და თქვენს სვან მანდატურთუხუცესთან ერთად, არ მუშავდებოდა ურუსთა ჯარის მიერ ამბოხებული გურჯი მონასპის განადგურების გეგმა? უთუოდ ამასვე ადასტურებს თქვენი შესანიშნავი გადაწყვეტილებები დედაქალაქში მშვიდობიანი მიტინგების დახვრეტისა, ოპოზიციაზე ხალხთა მასების მისევისა, მათი ბუნაგების დარბევისა და სხვა მრავალი საქმენი საგმირონია.

ჩვენ კი ამ მხრივ, რაც ადრე მოვასწარით ეგ იყო... ეხლა უკვე დიდათ გვავიწროვებენ. ამერიკა-ევროპის არამკითხე დემოკრატები, ჟიდო-მასონები. გვიხარიან, რომ ამ ბოლო ხანებში თქვენც დაიწყეთ საკუთარ ოპოზიციაში მასონთა ლოჟის წევრების ძებნა. თუ ძალიან მოინდომებთ, უთუოდ იპოვნით. სწორედ ადამიანის უფლებებისათვის იბრძვის მსოფლიოს ყველა დიქტატორი. განა გარკვევით არაა ნათქვამი -„ადამიანის" და არა „ადამიანების" უფლებებიო. თქვენი და ჩვენი მსგავსი ადამიანი კი თითებზე ჩამოსათვლელია დედამიწის ზურგზე, და ამიტომ სამართლიანადაც ვიბრძვით საკუთარი ადამიანური უფლებების გასაფართოვებლად. ვინ ეკითხებათ ამ უდღეურ დემოკრატებს საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ქვეშევრდომებს ვინ როგორ მოექცევა?

ბევრი დიქტატორი ვერ დაიტრაბახებს იმ წარმატებებს, რომელსაც თქვენ მიაღწიეთ სხვადასხვა სოციალური ფენის, პარტიების, ქალაქისა და სოფლის, ქვეყნის რეგიონების ურთიერთწაკიდების სფეროში. უფრო მეტიც, დაპირისპირება სახეზეა ერთი ოჯახის ფარგლებშიც. ალბათ სწორედ ეს იქნება გურჯისტანში თქვენი მბრძანებლობის საყრდენი, - სწორედ შერჩეული ჩვენებური, დესპოტური გზა მმართველობისა.

'თუ არ იეჭვიანებთ, განსაკუთრებით მივესალმებით ხელისუფლების მხარდამჭერ „მდედრიონს", ხათუნების მშვენიერ გუნდს. თუმცა, გირჩევთ ჩადრჩამოფარებულები ატაროთ ისინი, რათა ქუჩაში გაავებულებმა, მოწინააღმდეგეთა ნაცვლად საკუთარი, ე.ი. მთავრობის სასახლის დამცველები არ დაგლიჯონ ხოლმე - ამბობენ იყოო ასეთი შემთხვევებიც. ჩვენ მზად ვართ, ბარტერული გაცვლის საფუძველზე, თითეულ ასეთ დედაკაცში სამი მონა-არაბი გამოგიგზავნოთ. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ თქვენს მცირე ულანბატორში (სასახლის წინ) კარვებში ლამენათევი ქალები. ალაჰ, რა მშვენივრები არიან ისინი, ახლადგამოღვიძებულები და კარვიდან მომზირალნი. იფიქრებს „შავი კოლგოტკის" თითეულმა წევრმა, რომ მათ გზა აქვთ ხსნილი ჩვენს მდიდრულ ჰარამ-ხანებში...

მოსვენება დაგვიკარგა თქვენი „მდედრიონის" საბრძოლო ყიჟინამ. განსაკუთრებით გურჯისტანის რადიოში ტირანიის უერთგულესი დამცველის, დიქტატორ... უკაცრავად, დიქტორ-კომენტატორის მზევინარ ხანუმის (მზია ბაქრაძე) მომაჯადოვებელი ტემბრის გაგონებაზე გვაჟრჟოლებს (ეტყობა, ადგილობრივ სიგარეტსა და მაგარ სასმელებს ეძალება ხანუმი). ჩვენ იგი უკვე იორდანიის, ლიბიის, ერაყის, ზიმბაბვეს და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქედ ავირჩიეთ. ვფიქრობთ, რომ მისი გამოყენება წარმატებით შეიძლება სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე პუტჩების წინააღმდეგ და მაშასადამე, მთავრობის სასახლეთა დასაცავად.

ბ-ნო პრეზიდენტო, ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ თქვენი ყოველი ნაბიჯით. ავკუწავთ ყველას, ვინც კი თქვენს გადაყენებას მოითხოვს. არავის არაფერი არ დაუთმოთ, - დასცხეთ და გაწყვიტეთ ეგ ერთი მუჭა ოპოზიციონერი მავნებლები - პარლამენტისაც, ქუჩისაც, ორლობისაც

ალაჰიმც შეაჩვენებს მათ სახელებს. უფრო ენერგიულად გამოიყენეთ - პოლიტიკური შანტაჟი, დასმენა, თვალთვალი და ტერორი. ჩვენ შეგვიძლიან გიშუამდგომლოთ ჰუსეინის დიდ საიდუმლო მრჩეველთან - ადოლფ შიკლგრუბერთან, რომელიც პერუდან გვამხნევებს ყველას და ბრძნულ რჩევებსაც არ იშურებს ჩვენთვის. საბედნიეროდ, იგი ცოცხალია და თავს დღესაც ჯანმრთელადა გრძნობს.

ნუ დაგაღონებთ ეკონომიკური ჩავარდნა, მთავარია საკუთარი ქონების გამრავლებაზე და დოლარების დასტებზე იზრუნოთ. ჩვენ ყველას უკვე საკმაოდ სოლიდური თანხები გვაქვს გადაგზავნილი ამერიკა-ევროპის ბანკებში და თქვენც გირჩევთ იგივე მოიმოქმედოთ, თუ ჯერაც არ აგიჩხრიალებიათ შვეიცარიის ბანკებში ეროვნული ქონება. დაგვერწმუნეთ, მშობლიური, ეროვნული სიმდიდრიდან ამოგებულ ვალუტას სულ სხვა გემო აქვს. რაც შეეხება ხალხს, ისინი ბალახსაც სიამოვნებით შეიჭამენ, თუკი მათ ჭეშმარიტი ბელადი მიუძღვით წინ. ჩვენამდე ხმამ მოაღწია, რომ თითქოს თქვენ, გურჯისტანის ისტორიულ მიწა-წყალს ანიავებთ. მართალიც რომ იყოს აბეზარი ოპოზიციონერების ეს ბრალდება, მერე რა მოხდა ისეთი, განა ბოლშევიკებისგან ეგ ტერიტორია საფეშქაშო სასწორზე აწონვითა გაქვთ მიღებული? მთავარია მტკიცედ იდგე და შენს პრინციპებს არ უღალატო, და მარტო მშვენიერი რუსთაველის გამზირიც რომ შემოგრჩეს (თავის ქალებით) სამბრძანებლოდ, დანარჩენი ტერიტორიები კი მეზობლებმა მიითვისონ, დაგვერწმუნეთ, მაინც ღირს ამად.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ხელისუფლების სათავეში მოსვლის წლისთავს. გისურვებთ აზია-აფრიკულ ჯანმრთელობას, მხნეობას და შემართებას. მომავალ წელს კიდევ უფრო დიდი წარმატებები მოგვილოცოს უდღეური დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიქტატორებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ალაჰი ჰფარავდეს მზიურ გურჯისტანს!

პატივისცემით, აღმოსავლეთის დიქტატორთა ჯგუფი (სულ 13 ხელმოწერა)

## ჯერ კიდევ გადაუგვარებელ ინტელიგენტთა საყურადღებოდ!!!

7 ნოემბერს ტელევიზიით გადაიცა გადაუგვარებელ ინტელიგენციასთან პრეზიდენტის შეხვედრა, რომელზეც კიდევ ერთხელ ჩამოეგლიჯა ნილაბი კრიმინალურ ინტელიგენციას. მილების საპასუხოდ ნილაბჩამოგლეჯილებმა კიდევ უფრო გაააქტიურეს თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობა და გახსნეს ინტელიგენციის კრიმინალებად გადაგვარების კოლეჯი.

კოლეჯში გადასაგვარებელნი შეისწავლიან:

I. ავტომანქანების მოპარვას

2. მოპარული მანქანების დეფიციტურ ნაწილებად დაშლას (მასწ. ე. შენგელაია)

3. დეფიციტური ნაწილების დაფასოებას და სპეკულაციურ ფასებში გაყიდვას (მასწ.-პროფ. ნ. ნათაძე

4. ქურდული ჟარგონის ათვისება-მაგ. "სიმონ!" (მასწ.- პროფ. თ. სიგუა)

აღნიშნულ დისციპლინათა დაუფლების შემდეგ მიღებულ იქნებით ქურდულ-კრიმინალური ინტელიგენციის რიგებში.

რედკოლეგია: კახაბერ კახაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ანზორ აბჟანდაძე, თამარ ჩხეიძე, გურამ ყორანაშვილი, ზურაბ კიკნაძე, გუძა აფაქიძე, მხატვარი. ზურაბ მშვილდაძე